№ 37 თებერვალი 20, შაბათი — 1893 — თებერვალი 20, შაბათი № 37

**გაზეთი ფასი**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

**კნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა შვილებითურთ და თავადი კონსტანტინე ივანეს-ძე მელიქიშვილი** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ 22 თებერვალს დილის 10 საათზედ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **გენერალ-ადიუტანტის, გენერალ-კავალერიისა თავად ლევან ივანეს-ძის მელიქიშვილის** სულის მოსახსენებლად. (2—1)

**დეკანოზი დავით გრიგოლის ძე ჭრელაშვილი და დანი მისნი.** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ 21 თებერვალს, დილით 10 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის დედისა მისისა **ეკატერინე ივანეს ასულის ჭრელაშვილისა.** (1—1)

ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 „ქართულ წიგნთ-საკითხავში" დაარსდა

**ნოტებით ქართულ გალობის სწავლა**

გალობას ასწავლის ბ-ნი **ფ. ქორიძე,** ახსნის და განმარტავს თვით ნოტების მნიშვნელობას იმ გვარად, რომ თითოეულს მოსწავლეთაგანს შეეძლოს თვითვე მონახოს ხმები და გალობა გამართოს. გალობის სწავლა შეუძლიია ყველა წოდების კაცს, სწავლის ფასი არ ერთმევათ და ნოტებას ქაღალდიც მუქთად მიეცემათ. ხოლო უკეთუ ვინმე მოსწავლეთაგანი ისურვებს და თვით გალობის წარმატებისთვის შემოსწირავს რამეს, დიდის მადლობით მიღებულ იქნება. დრო და დღე დანიშნული იქნება თვით მოსწავლეთა სურვილის თანახმად. რადგან ნოტებით გალობა ახალი საქმეა ჩვენში და მისი მოსმენა ბევრისათვის საყურადღებოა, ამისთვის ყოველ დღესასწაულის წინა დღით გამოცხადებული იქნება, თუ რომელს ეკკლესიაში იგალობებს მგალობელთა გუნდი. გალობა გადაღებულია ქუთაისში იქაურ საუკეთესო მგალობელთა დახმარებით ბ-ნ ფ. ქორიძის მიერ.

კვირას, 21 თებერვალს, იგალობებენ კალოუბნის ეკკლესიაში.

**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ვერიამინოვის ქუჩაზედ და ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—1) დარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუმანოვი

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა

თხზულებანი

**აკაკი**

**წერეთლისა**

ტომი I ლექსები

გადაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასასყიდად

**ფასი 1 მან.**

(5—1)

ქართული თეატრი

კვირას, 21 თებერვალს, ქართულ თეატრის არტისტებისაგან

**მ. მ. საფაროვი გამგეობით**

წარმოდგენილ იქნება

პირველად ამ სეზონში

**უვარუვარე ათაბაგი**

ისტორ. დრამა 5 მოქმედ. გ. ერისთავისა

დასასრულ

**სწავლული ცოლი**

სცენა-მონოლოგი—ვ. აბაშიძისა

ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქალბ. ავალიშვილი, ანდრონიკაშვილი და მთელი დასი.

დასაწყისი 8 საათზედ

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

გამგეობა მ. მ. საფაროვისა

რეჟისორი ვ. აბაშიძე

**ანონსი.** მზადდება შემდეგი პიესები: რევიზორი, ლანდი, ორი ობოლი, ოტელო, ურიელ აკოსტა და სხ.

ტფილისი, 19 თებერვალი

ვიდრე რუსეთში ბატონ-ყმობა მეფობდა, დაბეჯითებით შეიძლება ვსთქვათ, რომ ამ უშველებელ ქვეყანაში სამართალი არ არსებობდა იმ გვარი, როგორც ეს სიტყვა ესურება ყოველ ადამიანს ეხლა და როგორც აღიარა განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ თავის „Судебные Уставы"-ით. აი ამისათვის ცნობილი რუსის მწერალი, პუბლიცისტი და გულმხურვალე პატრიოტი, თ. ს. აქსაკოვი, რომელმაც ზედ-მიწევნით იცოდა ძველი სასამართლოს წესები, ამბობს, რომ მარტო ერთი მოგონება ძველის უსამართლობისა კმარა, თმა ყალყზე შეგიდგეს და ტანში ჟრუანტელმა დაგირბინოსო.

სოფელში პარპაშებდა ბატონი მემამულე, რომელიც, რაც სურდა, იმას სჩადიოდა. მისი ამღაგმავი არავინ იყო. მებატონე სოფელში სრული გამგებელი იყო თავის ყმისა, რა სასჯელიც სურდა, იმას განუწესებდა მონას და თავის განაჩენს თვითონვე მოიყვანდა სისრულეში. საჩივარი მის განაჩენზე, სიმართლის აღდგენა, ყოვლად შეუძლებელი იყო. აბა რომელი მონა გაჰბედავდა საჩივარს თავის ბატონზე, როდესაც თვით სენატიც მომჩივანს უარესსა და მკაცრს სასჯელს უჩენდა, როგორ გაბედე და საჩივარი შეიტანე ბატონზეო. ბატონს შეეძლო ყოველ-გვარი სასჯელი გაეწესებინა თავის ყმისთვის; არ შეეძლო მხოლოდ „კნუტით" დაესაჯა, დაედაღა და კატორღაში გაეგზავნა, მაგრამ ამას მარტო დაწერილი კანონი ამბობდა, საქმითკი ესეებიც ხდებოდა.

ქალაქებსა და დაბებში მცირე-დანაშაულობას არჩევდა პოლიცია. ეხლანდელი კაცი ძნელად წარმოიდგენს, რა ურჯულო და უსამართლო იყო პოლიციის სამართალი. შებრალება, შეცოდება, არ ეკარებოდა ამ მოსამართლეთა გულსა, გაქვავებულს, როგორც კლდეს. ყოველი მათი განაჩენი სამართლის მასხარად აგდება იყო, ბრალიანსა და უბრალოს ერთგვარად უწვამდენ გაზებს „სახელგანთქმულის" „კნუტით", „პლეტით", ან „როზგით". ტყვილად არ უთქვამს ხალხსა: ღმერთო, აშორე ყოველი ადამიანი, ბრალიანიც და უბრალოც, ჩვენს სამართალსაო.

დასასურათებლად ამ აზრისა მოვიყვანთ მხოლოდ ერთს მაგალითს. ერთს გლეხ-კაცს დააბრალეს, ცოლი მოჰკლაო. გათოკეს და, ვითომ დამნაშავეს, კატორგა გადუწყვიტეს. დამნაშავე სულ იმას გაიძახოდა: მართალი ვარ, ჩემი ცოლი მე არ მომიკლავსო. მაგრამ, მოგეხსენებათ, კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო: მაშინდელი ვექილი სინონიმი იყო ყოველ გვარის უსამართლობისა და სიცრუისა; მოვალეობად ჰქონდა გადაქცეული დამტკიცება სიცრუისა და არა აღდგენა ჭეშმარიტებისა. დამნაშავეს, რასაკვირველია, კატორგის გარდა, გაროზგვა გადუწყვიტეს. ჯერ ზურგი აუჭრელეს „როზგით", შემდეგ სახეზე დაღი გამოუსახეს და ციმბირში გაისტუმრეს. საცოდავმა სენატსაც მიართვა საჩივარი, უდანაშაულო ვარო. საჩივარი უყურადღებოდ დასტოვეს. ექვსის წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ დატანჯულის კაცის ცოლი ცოცხალი ყოფილიყო, იქვე ახლო სოფელში თავის საყვარელთან დროს თურმე ატარებდა. მოხსენდა ეს ამბავი სენატს და თვით იუსტიციის მინისტრს გრაფ პანინს. მაგრამ როგორ გგონიათ, გაანთავისუფლეს საცოდავი? მინისტრმა ბრძანა, ეჰ, ვისა აქვს თავი, ხელ-მეორედ განიხილოს საქმე, რა უჭირს იყოს ციმბირშიო.

ძველის სასამართლოს მოქმედების ამ გვარ ნიმუშებით შეიძლება მთელი თხზულება აივსოს, მაგრამ ეს ერთი მაგალითიც საკმარისია, რომ მკითხველმა ივარაუდოს, რა უსულო და უგულო იყო ძველი სასამართლო, და რამდენად მოკლებულნი იყვნენ უბრალო კაცთ მოყვარეობას თვით მოსამართლენი.

კაცის სიცოცხლეს, მის ღირსებას და პატიოსნებას ჩალის ფასი არა ჰქონდა ძველს მოსამართლეს თვალში, რომელიც იყო აღზრდილი ბატონ-ყმობის საზარელს ატმოსფერაში. მართალი ის იყო მაშინ, ვისაც ძალა ჰქონდა და ჯიბე კარგად გატენილი. ძლიერთან და მდიდართან სუსტი და ღარიბი ყოველთვის მტყუანი იყო. ფულით სამართლის სასწორს, საითაც გინდოდა, იქით გადაჰხრიდი. ქრთამი იყო უპირველესი სადსარი საქმის მოგებისა; რამდენსაც ბევრს დაჰხარჯავდი, იმდენად მეტად უჩნდა ყოფილიყავ დარწმუნებული, რომ ღლელოს შენ გაიტანდი, თუნდა ათი ათასჯერ მტყუანიც ბძანებულიყავ.

თვით წარმოება საქმისა ხომ დაუსრულებელი იყო და ბოლო აღარ ეღებოდა. უბრალო სამოქალაქო საქმე, რომელსაც ეხლა მომრიგებელი მოსამართლე ერთს დღეს ათავებს, თთვეობით, წლობით, ჭიანურდებოდა. მოქრთამეობა ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი მაშინდელ მოსამართლეებს და საქმეც ამის გამო ჭიანურდებოდა. საქმე შიდლოვსკებისა თორმეტჯერ განიხილა სენატმა და მეცამეტეჯერ დაადგინა: ესა და ეს მიმართულება მიეცეს საქმესაო. იმავე სენატმა მეორე საქმეში უბრალო „სპრავკა" ვერ მიიღო საგუბერნიო გამგეობისაგან ექვსის წლის განმავლობაში და 46-ჯერ მისწერა მაზრის უფროსს, დააჩქარე ამა და ამ ცნობის გამოგზავნაო!

ამას შემდეგ, რა საკვირველია, რომ ყველა, ბრალიანი და უბრალო, ვისაც-კი ფული არა ჰქონდა და გავლენიანი ნათესაობა არა ჰყვანდა, ჟამივით ერიდებოდა სამართალს, შორს გაურბოდა ვითომ და მართლ-მსაჯულებას და სასამართლოს შენობას ახლო არ ეკარებოდა.

დიაღ, ძველმა სამართალმა „სამართლიანად" დაიმსახურა სახელი უსვინიდისო, გულ-ქვავის, შეუბრალებელისა და ყოველს თავისუფლებას მოკლებულ სამართლისა. ძველი სამართალი ადმინისტრაციის მეტ-ხორცი იყო, იმისი ყურ-მოჭრილი ყმა და მონა: რასაც უბრძანებდა, იმას აკეთებდა.

ასეთი იყო სამოქალაქო სამართალი. სამოთხედ გეჩვენებათ ზემოდ დახატული სურათი, როდესაც იმას სისხლის სამართალს შეუდარებთ. 1857 წლის სისხლის სამართლის ძალით, უბრალო დანაშაულიც-კი სხეულის დასჯით თავდებოდა. მართლა რომ, აქსაკოვისა არ იყოს, თმა ყალყზე დგება და ტანში ჟრუანტელი გირბენს, როდესაც მარტო წიგნში ჰკითხულობ, თუ როგორ აწამებდნენ დამნაშავეს. აი როგორ აგვიწერს სენატორი როვინსკი არაქჩეევის შემოღებულს დასჯას ესრედ-წოდებულ „შპიცრუტენით". გაამწკრივებენ ხეივნის ბოძებივით ათას ზორბა და ხელ ღონიერ სალდათს, რომელთაც ხელში უჭირავთ მათრახი—შპიცრუტენი და ღონივრად იქნევენ ამ საშინელს იარაღს. შორიდან გგონია, ტყე ირხევაო. დამნაშავე, წელამდინ ტიტველა, მიბმულია ხელებით თოფების კონდახზე, რომელიც უჭირავს ორ სალდათს და ნელა მიუძღვიან წინ, რომ ყველამ „დააჩნიოს კვალი" მათრახით. უკან მიაქვთ კუბო. განაჩენი წაიკითხეს, დაჰკრეს გულ-შემომზრელმა ბარაბანებმა და დაიწყო მწარე ზუზუნი ტიტველა

ტანზე აუარებელმა მათრახმა, წინიდამ და უკანიდამ. ორს წუთის შემდეგ, დამნაშავეს ხორცი გალურჯდა, დაწითლდა, აბურთდა და სისხლის შადრევანი ავარდა ჰაერში. ,,ძმებო, შემიწყალეთ'', გაისმის მიმკვდარებულის ხმა, მაგრამ ვინ გაჰბედავს შებრალებას. შეიბრალებდი და შენც იმავე დღეს დაგაყენებდნენ. ცოტა ხანს შემდეგ ფერდები და ზურგი ერთს საშინელ ჭრილობას წარმოადგენდა, სხეულიდგან ხორცი ნაფლეთ-ნაფლეთად ჩამოდის. მომაკვდავი ძლივსღა ადგამს ფეხებს, ტანზე ხორცის ნაჭრები კონწიალობენ, ტყვიის ფერი თვალები გიჟივით გადმოუკარკლავს. აი ცოცხალი მიცვალებული კიდეც წაიქცა, მაგრამ ცემა ჯერ არ გათავებულა, მიაქვთ გვამი, წინ და უკან გააქვს ზუზუნი შპიცრუტენს და ჰკეპავენ შედედებულ სისხლს. ყველაფერი შეწყდა, აღარ ისმის კვენესა, ხოლო საზარელი ხმა ბარაბანისა-ღა გაისმის.

მადლობა ღმერთსაო, ამბობს სენატორი როვინსკი, ეხლა დამშვიდებით შეგვიძლიან მოვიგონოთ წარსული, ვეღარ ვიხილავთ ამ გულ-საკლავ სურათს, რადგან ხალხს მიენიჭა ახალი სამართალი, სამართალი ნაფიც მსაჯულთაო.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

⁂ 15 თებერვალს კავკასიის მთავარ-მმართებელმა გაუმართა ბალი ბუხრის ემირს. სხვათა შორის, ამ ბალს დაესწრო ამ დღეებში სოხუმიდგან ჩამოსული სამსახურს გარეშე მყოფი გენერალ-ლეიტენანტი თ. გრიგოლ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე, რომელიც მთავარ-მმართებელმა ემირს წარუდგინა. ემირი რამდენსამე ხანს ესაუბრა თავადსდა შემდეგ ოქროს ვარსკვლავი უბოძა პირველის ხარისხისა. თ. გრიგოლ შერვაშიძემ თავადაც ემირს ფეშქაშად მიართვა ჩერქეზული ხმალი. ემირმა ხმალი გასინჯა, დიდად მოეწონა, თავადს მადლობა განუცხადა და უთხრა, ვიდრე ცოცხალი ვარ, ამ ხმალს ჩემს ოთახიდგან არ მოვიშორებო.

⁂ ოთხშაბათს, 17 თებერვალს, დიდის ამბით გააცილეს მისი უგანათლებულესობა, ბუხრის ემირი, მირსეიდ-აბდულ-ახად-ბოგოდურ-ხანი. რკინის გზის სადგურამდე მიაცილა კავკასიის მთავარ-მართებელმა ს. ა. შერემეტიევმა. სადგური ბაირაღებით იყო შემკული. იქ ემირს მიესალმნენ ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე, ვიცე-გუბერნატორი ვ. ფ. ტიზენგაუზენი, ქალაქის მოურავი თ. ნ. ვ. ა-ლუთინსკი-დოლგორუკი, ბაქოს გუბერნატორი როგგე და სხ... გამოთხოვებისას ემირმა სთქვა მოკლე სიტყვა: „ჩემმა მეორედ მოგზაურობამ ძრიელ შემაყვარა რუსეთიო; მე თითქმის ვნანობ, რომ რუსეთს თავს ვანებებ, მაგრამ მოვალეობა მიწვევს ჩემს ქვეყნისაკენაო“... ბ-ნ მთავარ-მართებელს დიდი მადლობა გადუხადა პატივისცემისათვის. $3^1/_4$ საათს დაიძრა მატარებელი, რომლითაც ემირი ბაქოსაკენ გაემგზავრა.

⁂ 19 თებერვალს, დილის 12 საათზედ, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადახდილ იქმნა პარაკლისი ახალ სამოსამართლო წეს-წყობილების დაარსების დღიდგან 25 წლის იუბილეის გამო. შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე II მოსახსენებლად. დაესწრნენ მოხელენი პალატისა და ოლქის სასამართლოსი, აგრეთვე სხვა წარჩინებულნი კაცნიც, რომელნიც მიწვეულ იყვნენ გამგეთაგან. მთავარ-მართებელი ს. ა. შერემეტიევი არ დასწრებია, რადგანაც მგლოვიარედ იმყოფება ამ ჟამად თავის ძმის სიკვდილის გამო.

⁂ 17 თებერვალს, საღამოთი, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა კერძო კრება კახეთის მემამულეთა. კრებამ ამოირჩია კომისია „მევენახეთა საზოგადოების“ წესდების შესამუშავებლად. ეს წესდება წარედგინება სახელმწიფო ქონებათა მინისტრს დასამტკიცებლად. კომისიის წევრებად ამოირჩიეს თ-დნი: ი. გ. ჭავჭავაძე, ნ. მ. აბამელიქოვი, დ. ი. ავალიშვილი, ნ. ზ. ანდრონიკაშვილი, და ბ-ნები: ვ. ა. სულხანიშვილი და ა. ს. ფირალოვი. კომისია შემუშავებულ წესდებას დაჰბეჭდავს, საზოგადო მემამულეთა კრებას წარუდგენს განსახილველად და მერე გაჰგზავნის პეტერბურგს დასამტკიცებლად.

⁂ ქ. ახალქალაქიდამ ატყობინებენ ტფილისის ოლქის საექიმო განყოფილებას, რომ იქ გაჩნდა შავი სახადი. ეს სენი ტრაპიზონიდგან მოჰყოლია ერთ ოჯახს და სხვებსაც გადასდებია. ამ სენთან საბრძოლველად ტფილისის ოლქის საექიმო დასი ჰგზავნის ბ. დ. ს. ქიქოძეს.

⁂ ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „მოლა მასრადინას მოსწრებული სიტყვები და ოსმალური ანდაზები“, ოსმალურით გადმოთარგმნილი ალექსანდრე იაკ. მირაქ—ს მიერ. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი და კარგის ქართულის ენით დაწერილი. ბევრი ამ „მოსწრებულ სიტყვათაგან“ ჩვენმა ხალხმა, დიდი ხანია, იცის ზეპირ გარდმოცემით და ბევრიც ახალია. წიგნში 96 გვერდია და ღირს ერთი აბაზი.

⁂ ოთხშაბათს, 17 თებერვალს, „ტფილისის სობრანიის“ დარბაზში თ. ზ. გ. ჭავჭავაძეს გამოთხოვების სადილი გაუმართეს. თ. ზ. გ. ჭავჭავაძე აქამდის კავკასიის კორპუსის კამანდირად იყო და ეხლა გადაიყვანეს ალექსანდროვის ომში დაჭრილთა სამზრუნველო კომიტეტის წევრად. სადილზედ თითქმის ყველა სამხედრო სამსახურის წარმომადგენელნი იყვნენ. აქ ბრძანდებოდნენ მთავარ-მართებელი ს. ა. შერემეტიევი, გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი, მთავარ-მმართებლის თანაშემწე ი. დ. ტატიშჩევი და სხვანი. სადილზედ ბევრი შესაფერი სიტყვა წარმოითქვა. დასასრულ, თვით თ. ზ. გ. ჭავჭავაძემ გულითადი მადლობა და თანაგრძნობა გამოუცხადა ამ პატივცემულ კრებას.

⁂ მისმა უგანათლებულესობამ, ბუხრის ემირმა უბოძა საზაფხულო თეატრის ანტრეპრენიორს ბ-ნ ფორკატის ვერცხლის ვარსკვლავი მეორე ხარისხისა და ქ-ნ მონბაზონს—სხვა-და-სხვა ფარჩეულობა და შალეულობა.

⁂ ახალციხე: ამ ჟამად ახალციხის ქართველ-კათოლიკენი ძალიან შეწუხებულნი არიან, რადგან ეკკლესიაში ქართული გალობა და ქადაგება აღარა აქვთ. ამ მარხვაში მღვდლებმა ქადაგება სთქვეს, მაგრამ არა ქართულად, არამედ თათრულ ენაზედ; სომხურს თათრული ენა არჩიეს, რადგან ჩვენ ხალხს თათრული უფრო კარგად ესმის, ვიდრე სომხური. აგრეთვე თათრულ ენაზედ აასრულეს ეგრედ-წოდებული „ჯვარის გზა“.

⁂ ს. რუისი (გორის მაზრა): გაზაფხულზე, წყალ-დიდობას, რუისი სრულიად მოსწყდება ხოლმე ქვეყანას: აღმოსავლეთით ლიახვი დიდდება, სამხრეთით მტკვარი ჰგლეჯავს ბორნებს, დასავლეთით—ფრონე გიჟდება და არ ინდობს ადამიანს; ასეთს გაჭირებას ითმენს ეს ამოდენა დიდი სოფელი მას აქეთ, რაც სკრის ხიდი ჩაინგრა; არა, კი არ ჩაინგრა, დაძველდა და მერე თურმე სულ ბორნის პატრონებმა გაფცქვნეს, რა არის, ხიდმა ჩვენ ბორნებზე იაროსო. მეტი უპატრონობა გინდა? სხვები სცდილობენ ხიდები გაიკეთონ, და ჩვენში-კი ანგრევენ. ღმერთმა დაიფაროს, ადამიანი ამ დროს ავად გახდეს, ისე ამოუვა სული, რომ ექიმს თვალით ვერ დაინახავს. ამოდენა სოფელია იმასაც არა ცდილობს, რომ ერთი ფერშალი იყოლიოს. მერე ორი-სამი აქაური ახალგაზდა სადღაც ჯიბრაილში და ბაქოს გუბერნიაში მსახურებენ ფერშლებად, როცა ჩვენ ასე გვეჭირვება ცოტაოდენად მაინც ექიმობის მცოდნე. ერთ-ერთი მათგანი რომ აქ მოვიდეს ფერშლად, იმათთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც. საქმე მოწადინებაა. მოწადინებულიც არის ერთი ნაწილი

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

ჩემი აღსარება.—ჩიკაგო.—ჩიკაგოს სკოლები.—ჩვენი და ჩიკაგოს ქალები.—ჩიკაგოს უნივერსიტეტი.—ბიბლიოთეკები.—ტფილისის „საზოგადო“ ბიბლიოთეკა.—ჩიკაგოს ჟურნალ-გაზეთები.—ახირებულზედ ახირებული გაზეთი.—

ქალაქ ჩიკაგოს...

— მოითმინეთ, ყმაწვილო, ეგრე თამამად რომ სწერთ ხოლმე, ეს დანია, ეს შვეიცარია, ეს ჩიკაგო, ეს ლონდონი, ეს ისპანიაო,—როდის ბრძანდებოდით ამ ქვეყნებში? დარწმუნებული ვარ, რომ მცხეთასაც-კი არ გასცილებიხართ და ისპანიაზედაც ისე თამამადა სწერთ, თითქოს ისპანია ერთი თეფში ისპანახი იყოს და წინ გედგათ საჭმელად. უეჭველია, რასაცა სწერთ, წიგნებში და გაზეთებში გაქვთ ამოკითხული; ამ ამოკითხულს მერე გადმოაკეთებთ და გადმოაქართულებთ, თითქოს დრამა ან ვოდევილი იყოსო, და ისე ჰბეჭდავთ „ივერიაში“; მერე თავი მოგაგვთ, აი მე, აბრამ, როგორი ფელეტონი გამოვაცხეო.

— ჯერ ერთი, რომ ფიქრადაც არ მომსვლია, თავი მომქონდეს რითიმე, რადგანაც, კარგად ვიცი, რომ ნაქები თავი კიტრად არა ჰღირსო, და მეორეც: რამდენჯერ მომიხსენებია მკითხველთათვის, ესა და ეს ამბავი გაზეთებიდგან ამოვიკითხე, მომეწონა და მსურს ეხლა მკითხველთ ვაუწყო-მეთქი. მაშ როგორა გნებავთ? უეჭველად ჯერ მთელი უცხოეთი უნდა შემოვიარო და შემდეგ დაგიწეროთ რამე უცხოელთა შესახებ? ამასაც ვიტყვი: რამდენი ჩვენი ვაჟბატონი წაბძანებულა უცხო ქვეყნებში, თან ბლომად წაუღია მამა-პაპის ოფლით მონაგარი ფული; ამ ფულიდგან იქ სრულიად განთავისუფლებულა და ისე ჩამობრძანებულა თავის საყვარელ სამშობლოში. ან როგორა გნებავთ, რომ უცხოელთა შესახებ რაიმე შეგატყობინოთ, თუ არსად არას შევიტყობ და არ ამოვიკითხავ? მე თითონ-ხომ არ შევთხზავ, აი რა ამბები ხდება-მეთქი უცხოეთში. მაშ რად მისაყვედურებთ?

— ვინ გისაყვედურებთ მერე?

— სწორედ მოგახსენოთ, მკითხველებისაგან-კი საყვედური არ გაგვიგონია, მაგრამ ერთმა გამოჩენილმა კრიტიკოსმა—(„ზოილმა“) ბრძანა: „აბრას“ творчество სრულიად არა აქვს და იმასა სწერს, რასაც გაზეთებიდგან ამოიკითხავს ხოლმეო. კარგი და პატიოსანი. ჩვენ „ზოილს“ არ ვუხირდებით. ეს საქმე „ზურნის“ რედაქციისთვის მიგვინდვია. დაე, ეს творчество „ზოილმა“ თავისთვის შეინახოს და ჩვენ-კი, მხოლოდ იმას ვეცდებით, უცხოელთა შესახებ რაიმე საყურადღებო შევატყობინოთ მკითხველს, და თუ ამ ორიოდე სიტყვით მოგაწყინეთ, სრულის გულწრფელობით ბოდიშს ვიხდით.

⁎⁎

ქალაქ ჩიკაგოს, როგორც უკვე უწყით, წელს მსოფლიო გამოფენა გაიმართება. ამის გამო ჩიკაგოს შესახებ გაზეთებში მრავალი წერილები იბეჭდება. ზოგი წერილი შეეხება ამ ქალაქის სიმშვენიერეს, ზოგი—ვაჭრობას, ზოგი—მცხოვრებთა ხასიათის აღწერას, ზოგი—სკოლებსა და სწავლა-განათლებას და სხვა.

მგონია, მკითხველი არ გვისაყვედურებს, ყველაფერს რომ თავი დავანებო და მხოლოდ ჩიკაგოს სწავლა განათლებისა და სკოლების შესახებ ვესაუბრო.

ჯერ სრული სამოცი წელი არ არის, რაც ჩიკაგო დაარსდა და ამ ჟამად ამ ქალაქს მილიონ ნახევარი ხალხი ასხია, არსებობს მრავალი სკოლა, ქსენონები, ბიბლიოთეკები, სამხატვრო ინსტიტუტები, საქველმოქმედო დაწესებულებანი და სხვ. და სხვ. ჩიკაგო ყოველ-წლივ აუარებელ ფულსა ხარჯავს ქალაქის გამშვენიერებისა, ახალ ქუჩების გაყვანისთვის და სხვ. ქალაქი ყოველ-წლივ დიდს ფულსა ჰხარჯავს აგრეთვე სკოლების დაარსებისთვის. ჩიკაგოს სკოლებისთვის უკვე დაუხარჯავს 120 მილიონი მანათი, ე. ი. ყოველ წლივ უხარჯავს სკოლებზედ 2 მილიონი მანათი.

1891 წელს ჩიკაგოში ყოფილა 200 სამოქალაქო პირველ-დასაწყისი სკოლა და 800-მდე კიდევ კერძო სკოლა, რომელიც კერძო კაცთა ფულით ინახება. ამ სკოლებში იმავე წელს 220,000 მოწაფე სწავლობდა (150,000 სამოქალაქო სკოლებში და 70,000 კერძო სკოლებში). მასწავლებელთა რიცხვი ამ სკოლებში იყო 15,000.

აქ ჩვენ ქალთათვის ერთ საყურადღებო ამბავს აღვნიშნავთ. საწყინოდ-კი არავის დარჩეს, და ჩვენი ქალები... ეჰ, ღმერთმა უშველოს... დათხოვდნენ, იარშიყონ, ისიამოვნონ, ახალი კაბები იკერონ... რა საჭიროა მათთვის შრომა, შვილების აღზრდისათვის ზრუნვა და ამ გვარი მოსაწყენი მოვალეობა. ერთი მიბძანეთ, რა სჯობია კოხტა ულვაშებიან „დუშკა-კავალერსა“?...

დიაღ, იმას მოგახსენებდით, ერთი საყურადღებო გარემოება უნდა აღვნიშნო-მეთქი. ეს გარემოება ის გახლავთ, რომ ჩიკაგოს ახალგაზდა, გასათხოვარ ქალების „დუშკები“ უწვერ-ულვაშო, პაწია ბალღები არიან, რომელთაც ქალები გულ-მოდგინედ ასწავლიან სკოლებში. ჩიკაგოს სკოლების მასწავლებელთა შორის უმრავლესობას სასტატო სემინარიებში სწავლა დამთავრებული ქალები შეადგენენ.

მერე რაო, მეტყვიან ჩვენი ქალები, განა ქალების სწავლა არშიყობას სჯობიან? დიაღაც რომ არა! აბა სად კოხტა „კავალერის“ ალერსთა ბადეში გაბმა და სად ბალღების სულელურ ტიტინის მოსმენა!...

⁎⁎

ჩიკაგოს პირველ დასაწყის სკოლებში ასწავლიან, უსაჭიროეს საგნებს გარდა, აგრეთვე უცხო ენებსა, სხვა-და-სხვა ხელობას და გიმნასტიკას, 1889 წლის კანონით, ილინოისის შტატში ყველა ყმაწვილებისთვის, 6 წლიდგან 14-მდე სკოლაში სწავლა სავალდებულოა. იქნება იფიქროთ, რა ვუყოთ, რომ სავალდებულოაო? ჩვენშიაც ბევრი რამ არის სავალდებულო. ათასი კანონი გვაქვს, მაგრამ ვინ ასრულებს? კანონი თავისთვის არის და ჩვენ ჩვენთვისაო. არა, ბატონო, იქნება ჩვენში მართლა ასე იყოს, არ აგიხირდებით, მაგრამ ჩიკაგოში-კი სულ სხვაა. რამდენად მტკიცედ მისდევენ ზემოხსენებულ კანონს, შემდეგი ცნობა გვიჩვენებს. 1881 წელს ჩიკაგოს 250,000 ყმაწვილთა შორის უსწავლელი დარჩა მხოლოდ 91 ყმაწვილი და ისიც ზოგი რაიმე სიმახინჯისა და ზოგიც ავადმყოფობისა გამო.

იმავე კანონის ძალით, ჩიკაგოს პირველ-დასაწყისს სკოლებში ასწავლიან შეერთებულ შტატების კონსტიტუციასა და სამშობლოს გეოგრაფიას. ჩიკაგოს სკოლებში მიღების ეგზამენი ძლიერ ადვილია.

ჩიკაგოში 4 უნივერსიტეტია. უნივერსიტეტში სწავლობენ ქალნი და კაცნი. 1891 წლის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ჩიკაგოს ერთს უნივერსიტეტში 100 პროფესორი ყოფილა და 2000 სტუდენტი ქალი და კაცი. მეორე უნივერსიტეტს (University of Chicago) ჩიკაგოს ერთმა მდიდარმა კაცმა ამას წინად 4 მილიონი მანათი შესწირა. ამ უნივერსიტეტს ეხლა 10 მილიონზედ მეტი ნაღდი ფული აქვს. ასეთის სიმდიდრის წყალობით ამ უნივერსიტეტმა მიიწვია პროფესორებად გამოჩენილი სწავლულები, გამართა ჩინებული ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები და სხვა. სტუდენტებსაც უნივერსიტეტშივე საცხოვრებლად მუქთად ეძლევათ ოთახები.

უნივერსიტეტში სწავლა მთელს

მცხოვრებლებისა. მაშასადამე, თათხნობა-ღაა საჭირო.

*** გორი: როგორც შევიტყეთ, ჩვენი დაუღალავი სცენის მოყვარული კნ. მ. ერისთავისა ამ დიდ-მარხვაში კიდევ აპარებს ქართულ-რუსულის წარმოდგენის გამართვას. შემოსავალი მოხმარდება დედათა სკოლას, რომლის გამართვას ეპირებიან ტფილისში.

*** ხიდისთავი (გორის მაზრა). ჩვენი სოფელი ღვინის მოსავლით არის განთქმული და ღვინოც კარგი დგება; წლევანდელმა ზამთარმა-კი, როგორც მცოდნე კაცები ამტკიცებენ, ძალიან დააზარალა ჩვენში ვაზი; თუ ვენახს ასი კოკა გამოდიოდა, ამ წელიწადს მესამედი ძლივს მოვაო. საზოგადოდ ხიდისთავის გარემო სოფლები, გორი და მისი მიდამონი, ყინვამ ძრიელ დააზარალა: დააზიანა, როგორც ვაზი, ისე ხე-ხილიცა. ამ მიზეზისა გამო ღვინის ფასმა იმატა, მაგრამ, თუ ნაწილი დააზარალა ყინვამ, დანარჩენი გადარჩა. გადარჩა ის სოფლები, სადაც ვაზსა მარხავენ, ის სოფლებიც, რომელნიც მდებარებენ მყუდრო ადგილებში, მაგ. მეჯვრისხევის მხარე და ასე გაყოლება მთის ძირის სოფლები, ასე რომ ღვინო აგრე რიგად დიდს ფასში ვერ წავა ჩვენსკენ ლელმა დაიწყო, თოვლი თითქმის სულ გადნა და გაუვალი ტალახებია.

*** იანვრის 17, ღამით, გიორგის მოედანზე სოლომონოვის სახლში თელავის მცხოვრებელთ სანდრო დემუროვსა და ნიკოლოოზ რაზმაძეს გალუსტა თუმანოვის სარდაფის გატეხა უნდოდათ, მაგრამ პოლიციელმა მიუსწრო და შეიპყრა.

*** 18 ამ თვისას იარმუკაში პოლიციელმა იპოვნა ვიღაც მიცვალებულის გვამი.

*** ერევნის მცხოვრებელმა ოჰანეზ დაშტამუროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 7 თებერვალს საღამოს 8 საათზედ ალექსანდრეს ბაღში თავს დამეცა სამი კაცი და 25 მან. ღირუბელი საათი და ფულად 20 მან. მომტაცესო. ბოქაულის თანაშემწემ გედევანიშვილმა იპოვნა დამნაშავენი. თავს დამსხმელნი ყოფილან ტფილისის მცხოვრებნი დავით ხეთაშვილი და თავადი ალექსანდრე გიორგის ძე არღუთინსკი-დოლგორუკი, რომელნიც შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

—

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელს მეთაურში პუბლიცისტი ჯანშიევი შეცდომით დასახელებულია პრაფესსორად.

## უცხოეთი

### სიტყვა გლადსტონისა ჰომრულის შესახებ

(შემდეგი *)

ჩვენ გადავსწყვიტეთ არ გადვუხვიოთ იმ 5 პრინციპს, როლელიც სახელმძღვანელოდ გვქონდა 1886 წელს. ცვლილება მოხდა და დიდი ცვლილება, მაგრამ, ჩემის აზრით, ისეთი კი არა, რომ 1886 წლის პრინციპები შეცვლილიყო. ეს პრინციპები შემდეგია. ბილლი ამბობს: დაარსებულ იქმნას დუბლინში საკანონმდებლო კრება, რომელმაც უნდა განაგოს საკუთრად ირლანდიის საადმინისტრაციო და საკანონმდებლო საქმეები იმპერიის საქმეთა მიუხედავად. ამ უმთავრეს საგანს გარდა, ყოველსავე დანარჩენს მცირე და სათუო მნიშვნელობა აქვს (ტაშის ცემა). დანარჩენი პირობები, რომლებიც მაშინ წავიმძღვარეთ წინ და რომლების დაცვას, რამდენადაც შეგვეძლო, ეხლაცა ვსცდილობთ, შემდეგია: ჩვენ არ უნდა შევიწყნაროთ არც ერთი ისეთი პირობა, რომელიც-კი არ ეთანხმება იმპერიის ერთიანობას. ამ საგნის შესახებ გაკვრით ვიტყვი, თუმცა დარწმუნებული ვარ, ამ აზრს ბევრი არ დაეთანხმება, რომ ჩვენ სრულიად განზრახვა არა გვაქვს, ამ ერთიანობას იმპერიისას ფრთები შევაკვეცოთ, ეს კიდევ ჩვენი სრული სურვილი არ არის; პირ-იქით ჩვენ გვსურს გავაძლიეროთ ეს ერთიანობა იმპერიისა (ხანგრძლივი ტაშის ცემა). ჩვენ გვსურს ამ ერთიანობას ისეთი ძალ-ღონე მივანიჭოთ, რომელიც არასოდეს არა ჰქონია, და ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივ კეთილ-გონიერ თვით-მმართველობის გაძლიერება, როგორც დაგვიმტკიცა გამოცდილებამ, საუკეთესო საშუალებაა იმპერიის ერთიანობის განსამტკიცებლად.

ამ სახით საჭიროა: 1) დაცულ იქმნას ერთიანობა იმპერიისა; 2) მუდამ სახეში ვიქონიოთ თანასწორობა ბრიტანიის ყველა სამეფოთა; 3) თანასწორად იქმნას განაწილებული იმპერიის სახელმწიფო გარდასახადი; 4) მიღებულ იქმნას ყოველ-გვარი ღონისძიებანი, რათა უმცირესობას არ მოაკლდეს ჯეროვანი მფარველობა და 5) პროექტი ისეთი უნდა იყოს, რომ წარმოადგენდეს, არ ვიტყვი დაბოლოვებულს,—ამ სიტყვას ნდობა დაეკარგა.—მხოლოდ ნამდვილსა და საფუძვლიანს გარდაწყვეტას ირლანდიის საქმისას (ტაშის ცემა). ამ საძირკველზედ უნდა იყოს დამყარებული ჩვენი ბილლი. განვმარტავ ეხლა იმ უმთავრეს პირობებს, რომლების შემწეობითაც გვსურს ეს ბილლი განვახორციელოთ. უპირველეს ყოვლისა ჩვენ პატივი ვეცით სამართლიანს მოთხოვნილებას ზეობისას. დასამტკიცებლად ამისა ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება. ბილლი ასე იწყება: „რადგანაც აუცილებლად საჭიროა არ შევაკვეცოთ ფრთები პარლამენტის ზეობას“... და შემდეგ მოხსენებულია საკანონ-მდებლო კრების დაარსების საჭიროება. ამ საგანს კიდევ დავუბრუნდები, მხოლოდ ეხლა მსურს, ორიოდე სიტყვა ვსთქვა, იმ ბრალის შესახებ, რომელსაც ხშირად გვდებენ ხოლმე—იმედი მაქვს, არა უკეთურის განზრახვით,—ვითომ ჩვენა გვსურდეს უნია გავაუქმოთ. სასურველია ეს საგანი გამოირკვეს. რას წარმოადგენს უმთავრესი დებულება უნიისა? 1880 წლამდე ჩვენს სახელმწიფოში ორი უმაღლესი მთავრობა იყო: ერთს წარმოადგენდა—მეფე, ლორდთა პალატა და პალატა საზოგადოებათა ინგლისისა; მეორე იყო—მეფე, ლორდთა პალატა და პალატა საზოგადოებათა ირლანდიისა; უმაღლესს მთავრობას ბრიტანიისას ისევე არა ჰქონდა უფლება შესცილებოდა ირლანდიის საქმეთა მართვა-გამგეობაში ირლანდიის უმაღლესს მთავრობას, როგორც ირლანდიის მთავრობას არა ჰქონდა ნება შესცილებოდა ბრიტანიის საქმეთა მართვა-გამგეობაში ბრიტანიის უმაღლესს მთავრობას (ტაშის ცემა). უნიამ შეაერთა ორისავე სამეფოს პარლამენტი გაერთება უმთავრესი საშუალება იყო უნიის განხორციელებისა. უნიას საგნადა ჰქონდა დაეარსებინა ერთი უმაღლესი მთავრობა, რომელსაც ერთნაირად უნდა განეგო ორთავე სამეფოთა საქმენი. ასე იყო აქამდე, და ამ ბილლის წამკითხველი დარწმუნდება, რომ ჩვენ გვსურს, კვლავაც ასე იყოს.

ბილლის ძალით უნდა დაარსდეს ირლანდიის საკანონმდებლო დაწესებულება, რომელსაც შეადგენს; 1) საკანონმდებლო საბჭო და 2) საკანონმდებლო კრება, რომელსაც მიენიჭება უფლება—„გამოსცეს კანონები ირლანდიის მშვიდობიანობისა, წესიერების დაცვისა და იმ საქმეთა მართვა-გამგეობისთვის, რომელიც შეეხება თვით ირლანდიასა ანუ ირლანდიის რომელსამე ნაწილს“ (ტაშის ცემა). ირლანდიის პარამენტს ნება არ ექნება იმ საგნების განხილვისა, შეეხება ტახტსა, რეგენტობას და მეფის მოადგილის უფლებას (ირლანდიაში), ომსა და მშვიდობიანობას, მტრის მოგერებას, ხელშეკრულობის დადებას და გარეშე საქმეებს, წოდებასა და ღირსებას, სახელმწიფოს ღალატს, ვაჭრობასა და ფულის მუშაობას. ამას გარდა საჭიროა: 1) უზრუნველ ყოფილ იქმნას თავისუფლება სარწმუნოებისა,—ეს მუხლი შეეხება საერო განათლებას და იმის უფლებას, რომელი სარწმუნოება იყოს ცნობილი სახელმწიფო სარწმუნოებად. 2) უზრუნველ იყოს თავისუფლება თითოეულ ადამიანისა—ამ საგნის შესახებ ღონისძიებანი შედგენილია იმის მიხედვით, როგორც ამერიკის კონსტიტუციაში.

ეხლა მოგახსენებთ, როგორი უნდა იყოს მთავრობა ირლანდიისა. სასურველია, ცოტათი შევცვალოთ უფლება ირლანდიის მთავრობისა, რაშიაც, ჩემის აზრით ყველა დამეთანხმება,—ეს ცვლილება ისეთი უნდა იყოს, რომ, რამდენადაც-კი შე-

---

წელიწადს არა სწყდება, ხოლო ყოველ სამის თთვის შემდეგ პროფესორები და სტუდენტები მთელს კვირას თავისუფალნი არიან. თითოეულს პროფესორს შეუძლიან ყოველ წელიწადს 3 თთვის ვადით განთავისუფლდეს. ხოლო, თუ სამის წლის განმავლობაში განუწყვეტლად შრომობდა, მაშინ მეოთხე წელიწადს სრულიად თავისუფალია სამსახურიდგან და ჯამაგირიც ეძლევა 6,000 მანათიდგან 10,000 მანათამდე.

ამ უნივერსიტეტებს გარდა, ჩიკაგოში ასობით არის კიდევ უმაღლესი სასწავლებლები. ჩიკაგოს მდიდარი კაცები ამ სასწავლებლებს ჩჩქივით აყრიან ფულსა ასე, რომ ახალგაზდა ამერიკელს, არა თუ სწავლის ფული, ლუკმა პურიც რომ არსად გააჩნდეს, მაინც ადვილად შეუძლიან სწავლა-განათლება შეიძინოს.

**

ჩიკაგოში აუარებელი ბიბლიოთეკაა. ამ ბიბლიოთეკის უმეტესი ნაწილი დაარსებულია მდიდარ კაცთა შემწეობით. ჩიკაგოს ზოგიერთი ბიბლიოთეკა გაცილებით სჯობია ბოსტონისა, ნიუ-იორკისა და ფილადელფიის ბიბლიოთეკებს.

ყველაზე კარგს ბიბლიოთეკას—“Public library“-ს—1871 წელს ცეცხლი წაეკიდა და მრავალი ძვირფასი წიგნი სულ ერთიანად გადიბუგა. მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, ამერიკელს რას ავნებს ცეცხლი, წყალი, სეტყვა... მგონია, თვით ქაჯმაც-კი ვერა დააკლოს-რა. ბიბლიოთეკა დაიწვა, მაგრამ თავ-მომწონე ამერიკელებმა მაშინვე გადასწყვიტეს: ჰაი, დედასა, მაშ რა ბიჭები ვყოფილვართ, თუ უკეთესი ბიბლიოთეკა არ გავმართოთო! მართლა და, განახლებულ Public library-ს ბიბლიოთეკაში ამ ჟამად 200,000 წიგნზედ მეტია. ეს ბიბლიოთეკა თითქოს მთელ ქვეყნისთვის და ყველა ერისთვის არის დაარსებული. ამ ბიბლიოთეკაში შეკრებილია წიგნები და ხელთ-ნაწერები ყოველ გვარ მეცნიერების შესახებ და ყოველ გვარ ენაზედ დაწერილი.

**

ჩვენს დალოცვილ ტფილისშიაც არსებობს ერთი ბიბლიოთეკა, რომელსაც, არ ვიცი-კი რა მიზეზით, „საზოგადო“ ბიბლიოთეკა ეწოდება. ამ ბიბლიოთეკაში მართლა არის რამე წიგნები თუ არა, თვით ალლაჰის მეტმა არავინ უწყის. ეს-კი ვიცი, რომ, თუმცა ამ ბიბლიოთეკას „საზოგადო“ ბიბლიოთეკას ეძახიან, მაგრამ საზოგადოებისთვის-კი არ უნდა იყოს დაარსებული. ბატონო, რამდენჯერაცკი მივედი, კარი დაკეტილი დამხვდა. ბოლოს შევამჩნიე, რომ კარებზედ ეწერა: „ამა და ამ თთვეში ბიბლიოთეკა ღიაა 3 საათიდგან 4 საათამდეო, ამა და ამ თთვეში 4 საათიდგან 5 საათამდეო და ამა და ამ თთვეში 5 საათიდგან 6 საათამდეო. ბიჭოს! ე სადაური წესია, თქვენი ჭირიმე, სწორედ ამა და ამ საათზედ მოდი წიგნის წასაკითხადაო. იქნება იმ დროს პური მშიან, იქნება არა მცალიან?.. ვითომ რა მოხდება, ბიბლიოთეკა რომ მთელ დღეს ღია იყოს და, როცა დრო მექნება, მაშინ მივიდე წიგნის წასაკითხად. ან ის რაღა წესია, ამ თთვეში, ამ საათიდგან ამ საათამდეა ღია ჩვენი „საზოგადო“ ბიბლიოთეკა და ამა და ამ თთვეშიკი ამ საათიდგან ამ საათამდეო. ვითომ რა იქნება, ეს საათები რომ არ შესცვალონ ხოლმე? წიგნები გაჯავრდებიან, თუ წიგნების ავტორები? ზოგი ავტორი რომ ცოცხალიც აღარ არის? არა, შვილოსა, ეს ბიბლიოთეკა „საზოგადო“ ბიბლიოთეკა არ უნდა იყოს. აქ რაღაც გამოცანაა და ვინც გამოიცნობს, ერთი გუდა ხიზილალა მიმირთმევია.

**

რათა ყველას შეეძლოს ჩიკაგოს—„Public library“-ს ბიბლიოთეკის წიგნებით ისარგებლოს, ამ ბიბლიოთეკას ქალაქის ყველა ნაწილში სამკითხველოები აქვს გამართული. წიგნებს სახლებშიაც აძლევენ მსურველთ, სრულიად უსასყიდლოდ, და ამასთანვე ბიბლიოთეკა თითონვე უგზავნის წიგნებს მსურველთ თავიანთ სახლებში. საჭიროა მხოლოდ, ბიბლიოთეკას შეატყობინოთ, ესა და ეს წიგნები გამომიგზავნეთო და თქვენი სახლის ადრესიც აუწყოთ. წიგნებს იმ წამსვე გამოგიგზავნიან. ამ ბიბლიოთეკას 100 კაცი ემსახურება და მათ ჯამაგირებზედ იხარჯება წელიწადში 140,000 მანათი. წიგნების შეძენისათვის და ბიბლიოთეკის მართვა-გამგეობაზე იხარჯება ყოველ წლივ 250,000 მანათი. ბიბლიოთეკა და სამკითხველოები კვირა უქმე დღითაც ღიაა მსურველთათვის.

ამას გარდა ჩიკაგოში კიდევ ბევრი ბიბლიოთეკაა. თითოსა აქვს 5000 წიგნიდგან 20,000 ათასამდე. ამას გარდა ჩიკაგოში არსებობს 725 სალიტერატურო კლუბი და ათასნაირი სამეცნიერო საზოგადოება.

**

ახლა ჟურნალ გაზეთები ბრძანეთ. ჩიკაგოში იბეჭდება 30 ყოველდღიური, 305 კვირეული და 60 ყოველ თთვიური; სამ-თთვიური და წლიური ჟურნალი... რა ვიცი, ბატონო, იქნება ათ-წლიურიც-კი იყოს, ამერიკელებისა არა გამიკვირდება-რა. ეს ჟურნალ-გაზეთები ვინ იცის რა ენაზედ არ იბეჭდება: ინგლისური, ფრანგული, გერმანული... წარმოიდგინეთ, ერთი გაზეთი ჩინურ ენაზედაც იბეჭდება თურმე. გაზეთები—Herald, Tribune, Inter Ocean, Times, News და სხვა ყოველ დღე 100,000 დგან 200,000 მდე ცალად იბეჭდება. რედაქტორები ათი ათას თუმნობით არა ზოგავენ თანამშრომლებისთვის, ოღონდ-კი კარგი რამ დაუწერე ამ გაზეთსაო. დეპეშებზედ ათასობით იმეტებენ, ოღონდ-კი კარგი რამ ახალი ამბავი შეატყობინოს დეპეშით კორესპონდენტმა. ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ ხანდახან ისეთი ცოცხალი ტყუილებია, რომ კვდარს ფეხებს გააქნევინებს. სად გაარჩიოს საბრალო რედაქტორმა, რომელი ამბავია მართალი და რომელი ტყუილი. ისეთი ოინბაზი კორესპონდენტებია თურმე ამერიკაში, რომ ეს ახალი ამბავი-კი დაიბეჭდოს, ფული მივიღო და მერე რა მენაღვლება, თუ ტყუილი გამოდგებაო.

**

ერთი ახირებული გაზეთიც იბეჭდება თურმე ჩიკაგოში. გარწმუნებთ, რომ ეს გაზეთი მეშჩერსკის Граждaнинъ ზედაც-კი ახირებულია. აი როგორ დაარსდა ეს გაზეთი. შეიკრიბნენ გაზეთების თანამშრომლები და შეუდგნენ თათბირს: ან რედაქტორი რად გვინდა, ან კორექტორიო. დასაბეჭდი წერილები პირდაპირ სტამბას გადავცეთ, ასოთ ამწყობთააწყონ, მერე მეტრანპაჟმა, როგორც მოხვდება, წერილები ისე დააწყოს და დაჰბეჭდოს. რა დიდი საქმეა, რომ წერილები რიგზედ არ იქნება: ჯერ კარგი წერილი, მერე სუსტი. განა მკითხველი თითონ ვერ გაიგებს, რომელი წერილი კარგიაო და რომელი ცუდიო. კორექტორიც არ არის საჭიროო. თუ მკითხველმა წერა-კითხვა კარგი იცის ⅆ გოგრაშიაც თივა არ ულაგია, კარგად მიხვდება წერილის აზრსა, თუ გინდ ასოთ შეცდომებიც იყოსო. სამაგიეროდ, ჩვენი გაზეთი ძლიერ იაფია, რადგანაც ხარჯი ნაკლები გვაქვსო. მოდი და ელაპარაკე ამისთანა ოინბაზ მეგაზეთეებს!..

უჰ!.. დავიღალე. დაღლაც იქით იყოს. მომაგონდა, რომ ჩვენს გაზეთს რედაქტორი ჰყავს და ეს ფელეტონი სტამბას-კი არა, რედაქტორს უნდა წარვუდგინო. კარგად ვიცი, დაჰხედავს თუ არა ამ წერილს, მაშინვე მეტყვის, შე დალოცვილო, ე მაგ სიგძე ფელეტონი რომ გაგიჭიმავს, გაზეთში სხვა რაღა უნდა დავბეჭდოვო. მოდი და ნუ დასვამ წერტილს და ნუ დასდებ კალამს!..

აბრა

საძლოა, ირლანდიის ვიცე-კოროლზე არც ერთს დასს არავითარი ზედმოქმედება არა ჰქონდეს. ამისათვის საჭიროა ირლანდიის ვიცე-კოროლი ამორჩეულ იქმნას ხოლმე 6 წლით; რა თქმა უნდა, ტახტს უფლება ექნება, ცვლილობა მოახდინოს და ვიცე-კოროლი 6 წელზედ ადრე გადააყენოს. ვიცე-კოროლი არ უნდა იქმნას შევიწროებული სარწმუნოების მხრივ.

ბილლის შემდეგი მუხლი შეეხება აღმასრულებელ კომიტეტის დანიშვნას ირლანდიის საიდუმლო საბჭოსთან. ირლანდიაში რომ საიდუმლო საბჭოს მოქმედება ისეთივე იყოს, როგორიც ინგლისშია, მაშინ ეს მუხლი სრულიად საჭირო არ იქნებოდა, რადგანაც ინგლისში საიდუმლო საბჭოს წევრნი მხოლოდ მაშინ ასრულებენ თავისს მოვალეობას, როცა საგანგებოდ მიიხმობენ ამ საქმისთვის. ირლანდიაში არ არის განსაზღვრული უფლება საიდუმლო საბჭოს საპატიო და ნამდვილ წევრთა შორის; ამიტომ საჭიროა დაარსდეს ზემოხსენებული აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ვიცე-კოროლის კაბინეტად იქნება. შემდეგ ბილლი განმარტავს veto-ს საქმეს. აღმასრულებელ კომიტეტის რჩევით, ვიცე-კოროლს შეუძლიან, ან რომელსამე ბილლს დასთანხმდეს ან თავისი veto დაადოს; ამასთანავე მნიშვნელობა არ ეკარგება მეფის ბრძანებას შესახებ თითოეულ ბილლისა.

რაც შეეხება საკანონმდებლო მთავრობას, გადავსწყვიტეთ, ორი პალატა დაარსდეს ირლანდიაში. ზემო პალატაში უნდა იყოს 48 წევრი, 8 წლის ვადით ამორჩეული. ამომრჩევლებად შეიძლება მხოლოდ ისინი იყვნენ, ვისაც 20 გირვანქა სტერლინგზედ ნაკლები შემოსავალი არა აქვს წელიწადში. მამულის შემოსავლიანობას მთავრობა დააფასებს ხოლმე. ამ გვარად ამომრჩეველთა რიცხვი დაახლოვებით 170,000-მდე იქნება. ყველა ამომრჩეველთ მხოლოდ ერთს ოლქში ექნებათ არჩევანების უფლება. ქვემო პალატას შეადგენს საკანონმდებლო კრება, რომელშიაც უნდა იყოს 103 წევრი 5 წლით არჩეულნი, იმ წესით, რა წესითაც ეხლა ინგლისის პალატის წევრთ ირჩევენ.

ამ ორ პალატის დამოკიდულება შემდეგი უნდა იყოს. თუ ბილლი ერთხელ იქმნა შეწყნარებული და პირველ შეწყნარებიდგან მეორემდე ორმა წელმა განვლო, ან პარლამენტი დაიშალა, მაშინ, თუ ბილლი საკანონმდებლო კრებამ არ დაამტკიცა, ორივე პალატა უნდა შეერთდეს და ისე გადასწყვიტოს ბილლის იღბალი. მოსამართლენი 6 წლის ვადით უნდა იქმნან ამორჩეულნი, წესისამებრ. პოლიცია დროებით ექვემდებარება ვიცე-კოროლს, როგორც ტახტის წარმომადგენელს; მაგრამ თანდათან შეიცვლება იმ პოლიციით, რომელსაც ირლანდიის მთავრობა დანიშნავს.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

18 თებერვალი

**პეტერბრგი.** სახელმწიფო საბჭო მალე განიხილავს იუსტიციის მინისტრის პროექტს იმის შესახეს, რომ ღირსება დაკარგულ და ციმბირს გაგზავნილ დედათა სხეულის დასჯა გაუქმებულ იქმნასო.

ფინანსთა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია და კიდეც შეუტანია განსახილველად სახელმწიფო საბჭოში კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ საგლეხო ბანკის წესდება შეცვლილ იქმნას.

**ათინა.** სიმის კუნძულზე არეულობა მოხდა; თათრებმა ეკკლესია წაბილწეს, რამდენსამე პატივ-ცემულ კაცს და მათ შორის ავსტრიის ელჩსა და იტალიის საელჩოს წარმომადგენელს სცემეს და დაატუსაღეს.

გუშინ პალატაში შეეკითხნენ მთავრობას, თუ რავდენად მართალია ეს ამბავიო; დრაგუმისამა, თუმცა ვერ უარ-ჰყო თვით ამბავი, მაგრამ პირდაპირ მაინც არა უპასუხა-რა.

**ვენა.** რეიხსრატის დღევანდელ კრებაზე პოლონელ დეპუტატმა ლევიცკიმ განიმეორა შარშანდელი დეკლარაცია „პოლონელთა კლუბისა“: გერმანიის მთავრობა რუსეთს არ უნდა შეეკრას ისეთ სავაჭრო პირობით რომ ავსტრი-ვენგრიას მოაკლდეს ის შესამატი, რომელსაც მოელოდდა გერმანიასთან ხელ-შეკრულობიდანაო. ამ ჩვენის დეკლარაციის დაკმაყოფილების მიხედვით იმოქმედებს პოლონელთა კლუბი, სთქვა ლევიცკიმ, როცა ბალკანეთის პატარ-პატარა სახელმწიფოებთან სავაჭრო-საპოლიტიკო ხელ-შეკრულობის შესახებ იქნება მოლაპარაკებაო.

**ბერლინი.** დღეს ბრანდებურგის საპროვინციო სეიმის სადღესასწაულო ირებილეიზე იმპერატორმა ვილჰელმმა სადილის დროს წარმოსთქვა სიტყვა: „ჩვენს დროს, სთქვა იმპერატორმა, უყვართ წარსულის მოგონება და ხშირად არ მოსწონთ აწმყო. ვისაც შეუძლიან, წარსულს გადაავლოს თვალი, ისეთს სახელოვანს წარსულს, როგორიც ჩვენ გვქონდა, კარგად იქცევა, თუ იმ წარსულში სამოძღვრო რამეს ამოიკითხავს. უსარგებლო ურვა-წუხილს-კი არ უნდა მივსცეთ თავი, არამედ ცხოვრებას მხიარულ თვალით უნდა ვუყუროთ, ვამუშაოთ შემოქმედებითი ძალა გონებისა და დავადგეთ ჩვენ წინაპართა გზას. სახე ვილჰელმ I-ისა იმან განადიდა და იმისი დიადი საქმე იმან წარმართა კეთილად, რომ მტკიცედ სწამდა, თვისი ღვთისგან მოწოდება და დაუღალავად მიისწრაფოდა მოვალეობის აღსასრულებლად. ეს აზრები შთამენერგა აღზრდისა და სწავლის დროს; ჩემ თავს არ ვუმალავ, რომ ერთნაირად ყველას დაკმაყოფილება მე არ შემიძლიან, როგორც ვერ შევიძლებ ყველას ერთნაირად გაბედნიერებას; მაგრამ იმდი მაქვს, ისე მოვაწყო საქმე, რომ კმაყოფილ იყვნენ ყოველნი, ვისაც-კი შეუძლიან რითიდაკმაყოფილდეს; მე იმედი მაქვს და ვსცდილობ კიდეც განვადიდო და განვაძლიერო ჩემი სამშობლო შინ და პატივისცემა მოვუხვეჭო გარეშედ მაშინ ჩვენ შეგვიძლია დაწყნარებათა ვსთქვათ: „ჩვენ, გერმანელებს მხოლოდ ღვთისა გვეშინიან და სხვა არავისი ქვეყანაზე“.

**ბელგრადი.** მილანის თხოვნის თანახმად, სამღვდელოთა კრებამ მეფის მშობლების ქორწინებითი განყრა უკანონოდ აღიარა და ამას იქით ერთად ცოლ-ქმრული ცხოვრება დაულოცა მათ.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

| | მყიდველის. | გამყიდველის. | გაყიდულის. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,54 | 7,57 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 151³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 227³/₄ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¹/₄ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

# განცხადებანი


კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—19)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.



საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტინი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპირველესი ყოველთა ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

იყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

ახლად გამართული

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—41)


Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Февраля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.